



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 189/ს
28/04/2023

189-21-4-202304281452



**კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ფემილი ფარმის“ მესაქონლეობის
ფერმისა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „ფემილი ფარმის“ მიერ წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში მესაქონლეობის ფერმისა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

შპს „ფემილი ფარმის“ მიერ მესაქონლეობის ფერმისა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 99736 მ² ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.319). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-456134, Y-4637458; X-456439, Y-4637582; X-456541, Y-4637469; X-456461, Y-4637419; X-456164, Y-4637442. უახლოესი დაახლოებული პუნქტი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 460 მეტრით. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. კასარიანთხევი, მიედინება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 220 მეტრში. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ფერმის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სამოვრებად. ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 540 მეტრში, განთავსებულია სამშენებლო მასალების დამამზადებელი საამქრო. მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 336 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე. ფერმის ტერიტორიას ემიჯნება კომპანიის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სადაც დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილია მცირე ზომის სახბორეს მოწყობა, რომლის შესახებ ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში მოცემული არაა.

2021 წლის 28 ოქტომბერს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ფემილი ფარმის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51² მუხლით

გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №061520 ოქმი. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, 2022 წლის 7 მარტს კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოსცა №82.82220661 ბრძანება კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევში მდებარე შპს „ფემილი ფარმის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მეცხოველეობის ფერმის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. შპს „ფემილი ფარმა“ გადაწყვიტა ფერმის საპროექტო წარმადობის გაზრდა, რაც მოიცავს 490 მსხვილფეხა პირუტყვის ნაცვლად, პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის ფარგლებში, 1000 მსხვილფეხა პირუტყვის განთავსებას. ფერმის ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფის მიზნით, ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ნავთობპროდუქტების საცავი (3 ტონა ტევადობის დიზელის საწვავის რეზერვუარი), შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მესაქონლეობის ფერმა გათვლილია 1000 ერთეულ მსხვილფეხა პირუტყვზე (მეწველი ძროხა) და მოიცავს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, რომელთაგან ნაწილის მშენებლობა დასრულებულია, ხოლო ნაწილი მოწყობის პროცესშია. არსებული მდგომარეობით, ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურა: სველი ნაკელსაცავი №1 (ლაგუნა); სველი ნაკელსაცავი №2 (ლაგუნა); სანიტარული გამშვები და სასწორი; სახბორე; დიზელის ქვესადგური და სატრანსფორმატორო; ნავთობპროდუქტების საცავი (3 ტონა ტევადობის დიზელის მიწისზედა რეზერვუარი). ამასთან, მშენებლობის პროცესშია 2 ერთეული ძროხების სადგომი (ე.წ. „სენდვიჩპანელის“ შენობა); საწველ-სარძევე ბლოკი და მოსაგები განყოფილება; ნაკელის სასეპარატორო; მყარი ნაკელის შესანახი მოედანი; 2 ერთეული თივა-ჩაღის საცავი; 4 ერთეული გარდამავალი გალერეა (რკინის კონსტრუქცია, რომელიც აკავშირებს შენობებს); ტექნიკის ფარდული; სანიაღვრე წყლების ლაგუნა; საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ბლოკი და ხანძარსაწინააღმდეგო რეზერვუარები სატუმბო სადგურით. მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციაში გასაშვებად საჭირო სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს. ფერმა იფუნქციონირებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმებული იქნება ჯამში 40-50 ადამიანი (3 ცვლაში).

როგორც უკვე აღინიშნა, ფერმის ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფის მიზნით, ტერიტორიაზე განთავსებულია ნავთობპროდუქტების საცავი (3 ტონა ტევადობის მიწისზედა დიზელის რეზერვუარი), თუმცა, დოკუმენტში მოწყობილი ნავთობპროდუქტების საცავის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, აგრეთვე, არ არის შეფასებული აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მესაქონლეობის ფერმაში გათვალისწინებული 2 ერთეული სადგომი გათვლილია 1000 მეწველ ძროხაზე და თითოეულში განთავსდება 400 და 600 ერთეული ძროხა. საწველ-სარძევე ბლოკში განხორციელდება ძროხების წველის

პროცესი და რძის პირველადი გაციება (24 სთ-ში მიღებული რძის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 30 ტონას). მაკე ძროხები დროებით განთავსდებიან მოსაგებ განყოფილებაში, ხოლო 14 დღემდე ასაკის ხბოები - სახბორეში, საიდანაც შემდგომში დაგეგმილია მათი რეალიზაცია. ფერმა იქნება სრულად იზოლირებული, დამოუკიდებელი შესასვლელ-გასასვლელებით, რისთვისაც ტერიტორიაზე იფუნქციონირებს დეზობარიერი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნაკელის შეკრების სისტემა იქნება სრულად მექანიზებული და შედგება 2 სველი (№1 და №2 ლაგუნა) და ერთი მყარი ნაკელსაცავისაგან (მყარი ნაკელის შესანახი მოედანი). სადგომების ნაკელისგან გასუფთავება მოხდება სკრეპერის მეშვეობით, საიდანაც ნაკელის ტრანსპორტირება, დაბინძურებულ წყალთან ერთად, განხორციელდება სველ ნაკელსაცავში. სველი ნაკელსაცავიდან ნაკელის გადაქაჩვა მოხდება ნაკელის სეპარატორში, რომელიც გააცალკევებს მყარ და თხევად ფრაქციებს. თხევადი ფრაქციის გადაქაჩვა განხორციელდება სველ ნაკელსაცავში, რომელიც დაფარული იქნება სპეციალური მემბრანით, რაც ხელს შეუშლის ნაკელის თხელი ფრაქციის გაჟონვას. ნაკელის მშრალი ფრაქცია დასაწყობდება მშრალი ნაკელის შესანახ მოედანზე. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის მესაქონლეობის ფერმის ტერიტორიაზე გათვალისწინებული სველი და მშრალი ნაკელსაცავების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დეტალური აღწერა, მოცულობა და ტექნიკური მახასიათებლები. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს ლაგუნების გადავსების პრევენციის მიზნით, მათი დაცლის პერიოდულობა და ავარიული გავსების დროს, დაბინძურებული სითხის გარემოში მოხვედრის თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტში არ არის განხილული სველი და მშრალი ნაკელსაცავებიდან, ასევე, საქონლის სადგომებიდან, გარემოში სუნის გავრცელების საკითხი. ამასთან, სუნის წარმოქმნისა და გავრცელების თვალსაზრისით, დასაზუსტებელია საქონლის სადგომების დასუფთავების ჯერადობა. გამომდინარე იქიდან, რომ მესაქონლეობის ფერმიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილი შეადგენს 460 მეტრს, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და შეფასებული როგორც უშუალოდ ძროხების სადგომებიდან, ისე მშრალი და თხევადი ნაკელსაცავებიდან სუნის წარმოქმნის, მისი გავრცელების (მათ შორის, ქარის გაბატონებული მიმართულების გათვალისწინებით) და ინტენსივობის საკითხები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მესაქონლეობის ფერმაში საქონლის საკვებად გამოყენებული იქნება შემდეგი სახეობის მარცვლეული: სიმინდი, ხორბალი, ქერი, სოიოს შროტი და მინერალ-ვიტამინების დანამატი, რომელიც დამზადებული სახით შემოვა ფერმაში. ჯამურად საქონლისთვის საჭირო იქნება წელიწადში 30 000 ტონა საკვები. დოკუმენტში რიგ შემთხვევაში მითითებულია, რომ ფერმის ექსპლუატაციის ეტაპზე დღის განმავლობაში საქონლის საკვების შემოტანისა და მზა პროდუქციის (რძე) გატანის მიზნით გათვალისწინებულია 3-5, ხოლო რიგ შემთხვევაში - 5-6 სატრანსპორტო ოპერაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მესაქონლეობის ფერმის მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე ტექნიკური მიზნებისთვის. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული პერსონალის სასმელი წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება ბუტილირებული სახით, ხოლო საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის ტერიტორიაზე განთავსებულია გადასატანი საპირფარეშოები, რომელთა დაცლა პერიოდულად წარმოებს კონტრაქტორი კომპანიის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ფერმის როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე საწარმოო წყლით უზრუნველყოფის მიზნით ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არტეზიული ჭის მოწყობა. აღნიშნული მიზნით დღე-ღამეში გამოსაყენებელი წყლის მოცულობა შეადგენს 150 მ³-ს. ტერიტორიაზე წარმოქმნილი ატმოსფერული ნალექების შეკრებისთვის მოეწყობა სანიაღვრე წყლების ლაგუნა, სადაც დაგროვილი წყალი შემდგომში გამოყენებული იქნება ტექნიკური მიზნებისთვის (საქონლის სადგომების მორეცხვა და ა.შ.), ხოლო ჭარბი რაოდენობის ნალექების მოსვლის შემთხვევაში, გადატანილ იქნება სველ ნაკელსაცავში. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ფეკალური წყლების მართვისთვის ტერიტორიაზე იფუნქციონირებს საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად გასუფთავდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საქონლის სადგომებში წარმოქმნილი ნაკელი და სადგომების დასუფთავების პროცესში გამოყენებული წყლები იკრიბება სეპარატორში და მყარი ნაკელისგან განცალკევების შემდგომ, თხევადი ნაკელი წყალთან ერთად, მოხვდება სველ ნაკელსაცავში. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ფერმის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების სისტემის შესახებ, ასევე, დასაზუსტებელია სეპარატორის ტექნოლოგიური პროცესი, ტექნიკური მახასიათებლები, ეფექტურობა, სეპარატორიდან გამოსული გაწმენდილი წყლის მოცულობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოო, სამეურნეო ან/და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების არსებობის და მართვის შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, მესაქონლეობის ფერმის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები მოწყობილია, ხოლო დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს, შესაბამისად, ფერმის მოწყობის სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციის ეტაპს, დოკუმენტში იდენტიფიცირებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები და წარმოდგენილია აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის ძირითადი წყაროები იქნება: ძროხების 2 სადგომი შენობა (თითოეული 400 და 600 ერთეული ძროხისთვის), სველი ნაკელსაცავები (№1 და №2 ლაგუნა), მყარი ნაკელის შესანახი მოედანი და ნავთობპროდუქტების საცავი (3 ტონა ტევადობის მიწისზედა დიზელის რეზერვუარი). ფერმის ფუნქციონირების ეტაპზე ძროხების სადგომებიდან და ნაკელსაცავებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებია: აზოტის ორჟანგი, მეთანი, ამიაკი და არაორგანული მტვერი, ხოლო დიზელის რეზერვუარიდან ატმოსფერულ ჰაერში

გაიფრქვევა ნაჯერი ნახშირწყალბადები (C₁₂-C₁₉). სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქონლის ფერმის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აკუსტიკური ხმაურით ზემოქმედება მოსალოდნელია როგორც ფერმის მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის გადაადგილებასთან. იმის გათვალისწინებით, რომ მესაქონლეობის ფერმის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები უკვე მოწყობილია და დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს, ფერმის მოწყობის სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ხმაურით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფერმის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სარძევე ბლოკი, სასეპარატორო), რომლებიც განთავსდება ე.წ. „სენდვიჩპანელის“ ტიპის შენობებში და იფუნქციონირებს მხოლოდ დღის საათებში, რაც შეამცირებს ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებას. დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილების შესაბამისად. ხმაურის წარმომქმნელ წყაროებში გათვალისწინებული არ არის ხმაურის წარმოქმნის ყველა წყარო, მათ შორის, ფერმაში განთავსებული საქონელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მესაქონლეობის ფერმიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის (460 მ) გათვალისწინებით, ფერმის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ფერმის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო, მათ შორის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა და სპეციალურ კონტეინერებში სეპარირებული შეგროვება. დაგროვილი ნარჩენების გატანა მოხდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილ ძირითად საწარმოო ნარჩენს წარმოადგენს ნაკელი. დოკუმენტის თანახმად, ფერმის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნაკელის ორივე ფრაქციის გამოყენება მოხდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასანოყიერებლად, ორგანული სასუქის სახით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ფემილი ფარმის“ მიერ ტერიტორიის სამხრეთით დაგეგმილია მცირე ზომის სახბორე ფერმის მოწყობა, რომლის შესახებ ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტში კუმულაციურ ზემოქმედებაში გათვალისწინებულია მესაქონლეობის ფერმის მიმდებარედ, შპს „ფემილი ფარმის“ საკუთრებაში არსებული ხბორების გამოსაზრდელი ფერმის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გაფრქვევების

ინტენსივობები. სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს როგორც არსებული, ისე დაგეგმილი ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ასევე, ხმაურის და სუნის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ჭარბტენიანი და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ობიექტის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ობიექტის სიახლოვეს არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციამ ადგილმდებარეობის, მასშტაბის, სპეციფიკისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ასევე დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.5 და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში მესაქონლეობის ფერმისა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ფემილი ფარმი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფემილი ფარმს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფემილი ფარმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო